დანართი 19
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
2025 წლის 17 თებერვლის N12 ბრძანებით

2025 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსისთვის დაფინანსების წესი

§ 1. პროექტის და ღონისძიების შეფასების შესახებ.

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №173/ნ-ის დანართით განსაზღვრული საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
2. სამეცნიერო კვლევითი პროექტები და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების პროექტები გადაეცემა კომისიას, რომელიც მათ შეაფასებს სათანადო ქულებით.

§ 2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების ლოტების მიხედვით.

1. n_1 -ით აღინიშნება პირველ ლოტში (საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელება) დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 11- ზე მეტი ან ტოლი ქულით. n_2 -ით აღინიშნება მეორე ლოტში (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება: კონფერენციები, კონგრესები) დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 32-ზე მეტი ან ტოლი ქულით.

2. ავღნიშნოთ

$$N = 2n_1 + n_2 .$$

3. თითოეული ლოტისათვის განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_1 = \frac{2n_1}{N}, \quad k_2 = \frac{n_2}{N} .$$

4. თითოეული ლოტისათვის განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$b_1 = k_1 \cdot B, \quad b_2 = k_2 \cdot B,$$

სადაც B არის კონკურსის ბიუჯეტი, ხოლო b_1 და b_2 არის შესაბამისად პირველი და მეორე ლოტების ბიუჯეტები.

§ 3. დაფინანსების წესი.

1. თითოეული ლოტისათვის ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია.
2. პირველ ლოტში ფინანსდება **მხოლოდ** 11- ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ ლოტისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშულებას.

3. მეორე ლოტში ფინანსდება **მხოლოდ** 32- ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული ღონისძიებები, შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ ლოტისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა ღონისძიების დაფინანსების საშულებას.

4. r_1-ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც დარჩება პირველ ლოტში ნაშთის სახით. r_2-ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება მეორე ლოტში ნაშთის სახით.

5. აღვნიშნოთ

$$R = r_1 + r_2 ,$$

   სადაც R არის თითოეულ ლოტში ნაშთის სახით დარჩენილი თანხათა ჯამი.

6. R თანხით ფინანსდება[1] დაფინანსების გარეშე დარჩენილი პროექტები, ლოტების მიუხედავად, რომლებიც აკმაყოფილებენ დაფინანსების მოპოვების აუცილებელ პირობას და რომლთა შეფასებაც პროცენტულად ნაკლებად იქნებიან გადახრილი შესაბამისი ლოტის მაქსიმალური[2] ქულისგან.

7. თანაბარი პროცენტული გადახრის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც პროცენტულად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი მაჩვენებლების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება პროექტში ახალგაზრდა მეცნიერის ჩართულობას. თუ ამ მაჩვენებლითაც თანაბრობა ნარჩუნდება, მაშინ უპირატესობა ენიჭება პროექტს რომლის ბიუჯეტიც პროცენტულად უფრო მცირეა შესაბამისი ლოტის მაქსიმალურ[3] ბიუჯეტთან შეადრებით.

8. ზემოაღნიშნული პროცედურის შემდეგ, ნაშთის სახით დარჩენილი თანხა, რომელიც არ იქნება საკმარისი რიგით შემდეგი პროექტის დასაფინანსებლად, დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.

---

[1] რა თქმა უნდა თუკი R თანხა იძლევა პროექტის (პროექტების) სრულად დაფინანსების საშუალებას

[2] იგულისხმება 15 ქულა I ლოტისთვის და 45 ქულა II ლოტისთვის

[3] იგულისხმება 60 000 ლარი I ლოტისთვის და 30 000 ლარი II ლოტისთვის.